# ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ასახულია ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ, მუნიციპალიტეტის შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის, 2022 წლის და მიმდინარე 2023წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულებს მონაცემები და მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში/დარგში/მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება;

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ახალქალაქის მუნიციპალიტეტი როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის სამცხე–ჯავახეთის მხარეში. სამხრეთიდან ესაზღვრება საქართველო-თურქეთის საზღვარი.ჩრდილოეთიდან კი საქართველო- სომხეთის საზღვარი.

გეოგრაფიული და კლიმატური პირობები მოცემული რეგიონი მდებარეობს მაღალმთიან პლატოზე და გარშემორტყმულია კლდეებით, რომლებიც მნიშვნელოვან კლიმატურ ბარიერებს წარმოდგენს (განსაკუთრებით ერუშეთის მასივი და სამსრის ქედი). რელიეფის ფორმები ხელს უწყობს ჰაერის მასების შეკავებას. შედეგად, ზამთარი მშრალი და უფრო ცივია, ზაფხული - ხანმოკლე და უფრო თბილი, ვიდრე კავკასიაში იმავე სიმაღლეზე მდებარე სხვამაღალმთიან რეგიონებში. ტემპერატურის სეზონური მერყეობის მიუხედავად, დღისა და ღამის ტემპერატურათა სხვაობა შესამჩნევია. ეს ქმნის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულ კონტინენტურ კლიმატს. მას გარს ეკვრის თრიალეთი, აბულ-სამსარი, ჯავახეთი და ნიალის ყურისა და ზედა მტკვრის ხეობები (უმაღლესი მწვერვალია დიდი აბული - 3304მ). სოფლების უმეტესობა ზღვის დონიდან 1700- 2000 მეტრი სიმაღლეზე მდებარეობს. ქვედა დაბლობები ხელს უწყობს ისეთი სასოფლოსამეურნეო პროდუქციის მოყვანას, როგორიცაა კარტოფილი და სხვა კულტურები. სიმაღლეზე მდებარე ვაკე ადგილები ალპური მდელოებია და შინაური ცხოველების საძოვრებად გამოიყენება. აქ არ არსებობს ბუნებრივი ტყეები და მაღალი ხეები/მცენარეები. თუმცა, არსებობს ხელოვნური წიწვოვანი ტყის მცირე მონაკვეთები (დაირგო 1950-1960 წლებში).

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მოსახეობა 2023 წლის მდგომარეობით 45,1 ათას კაცია. სიმჭიდროვე – 27 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. მუნიციპალიტეტში 65 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 64 სოფელი.

მუნიციპალიტეტში დასახლებული 45,1 ათასი მოსახლეობიდან 24,9 ათასი ქალბატონია, ხოლო 20,2 ათასი მამაკაცი. მათ შორის საქალაქო დასახლებაში რეგისტრირებულია 8,3 ათასი მაცხოვრებელი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 3,05 ათასი 6 წლამდე ბავშვი, 7,73 ათასი 6-დან 18 წლამდე მოზარდი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 7557 ათასი პენსიონერი. მათ შორის, 506 ოჯახი სოციალურად სტატუსის მქონე. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრების სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 12.9 ათას მოსახლეს.

მუნიციპალიტეტის შემოსავლებს უზრუნველყოფს: სარკინიგზო ტრანზიტი, მშენებლობა, ვაჭრობა, მცირე მეწარმეობა და საჯარო მომსახურებები.

სამწუხაროდ საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა მთლიანი შიდა პროდუქტის დათვლისა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ გვიხდება ნაკლებად ავღწეროთ მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მდგომარეობა და პირდაპირ განვიხილავთ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებს.

ბოლო წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების ყველაზე დიდი კომპონენტი არის საქართველოს საწარმოთა ქონებაზე მიღებული შემოსავლები. 2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადეის გაერკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გომოყოფილიმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 31,9 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე. ეს გარემოება კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დამოკიდებულს ხდის მოზიდულ სახსრებსა და ცენტრალური ხელისუფლების მიერ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე, რაც მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში უმთავრეს რისკ ფაქტორს შეადგენს.

| ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2023 წლის მონაცემების მიხედვით | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | მოსახლეობა | ფართობი (კვ.კმ) | შემოსავლები (ათას ლარებში) | გადასახდელები (ათას ლარებში) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სულ საქართველო (ნაერთი) | 3,736,400.00 | 69,700.00 | 20,805,000.00 | 23,856,000.00 |
| სამცხე ჯავახეთის რეგიონი | 155 900 | 6 412,8 | 161 383,5 | 181 829,2 |
| ახალქალაქის მუნიციპალიტეტი | 45070 | 1 235 | 25 744,5 | 31 264,0 |
| პროცენტი საქართველოსთან | 1,19 % | 1,77% | 0.12 | 0.13 |
| პროცენტი რეგიონთან | 28,9 % | 19,25% | 15,9 | 17,2 |

## თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

### 2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2024-2027 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

| დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | 2024 პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I. შემოსავლები** | **23 116,6** | **25 741,7** | **18 554,4** | **20 465,7** | **22 773,2** | **25 595,0** |
| გადასახადები | 10 691,7 | 14 007,2 | 16 012,4 | 17 880,0 | 20 075,0 | 22 768,8 |
| გრანტები | 10 126,5 | 9 699,5 | 272,0 | 272,0 | 272,0 | 272,0 |
| სხვა შემოსავლები | 2 298,4 | 2 035,0 | 2 270,0 | 2 313,7 | 2 426,2 | 2 554,2 |
| **II. ხარჯები** | **11 497,4** | **15 616,2** | **15 239,1** | **16 045,2** | **17 142,9** | **18 305,0** |
| შრომის ანაზღაურება | 2 142,3 | 2 679,9 | 2 900,0 | 3 140,0 | 3 460,0 | 3 810,0 |
| საქონელი და მომსახურება | 2 961,2 | 4 303,3 | 2 997,4 | 3 621,0 | 3 854,0 | 4 056,0 |
| პროცენტი | 39,9 | 39,9 | 21,6 | 9,2 | 1,9 | - |
| სუბსიდიები | 4 499,7 | 5 901,5 | 6 730,4 | 6 941,0 | 7 328,0 | 7 812,0 |
| გრანტი | 85,0 | 55,0 | 55,0 | 85,0 | 85,0 | 85,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1 335,8 | 1 530,0 | 1 575,0 | 1 692,0 | 1 815,0 | 1 905,0 |
| სხვა ხარჯები | 433,5 | 1 063,2 | 929,7 | 557,0 | 599,0 | 637,0 |
| **III. საოპერაციო სალდო** | **11 619,2** | **10 125,5** | **3 315,3** | **4 420,5** | **5 630,3** | **7 290,0** |
| **IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **10 055,3** | **15 557,7** | **3 234,8** | **4 340,0** | **5 590,0** | **7 290,0** |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზრდა | 10 193,0 | 15 689,9 | 3 364,8 | 4 450,0 | 5 700,0 | 7 400,0 |
| კლება | 137,7 | 132,2 | 130,0 | 110,0 | 110,0 | 110,0 |
| **V. მთლიანი სალდო** | **1 563,9** | **- 5 432,2** | **80,5** | **80,5** | **40,3** | **-** |
| **VI. ფინანსური აქტივების ცვლილება** | **1 483,4** | **- 5 512,7** | **-** | **-** | **-** | **-** |
| ზრდა | - | - | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | - | - | - | | | |
| კლება | - 1 483,4 | 5 512,7 | - | - | - | - |
| ვალუტა და დეპოზიტები | - 1 483,4 | 5 512,7 | - | | | |
| **VII. ვალდებულებების ცვლილება** | **- 80,5** | **- 80,5** | **- 80,5** | **- 80,5** | **- 40,3** | **-** |
| კლება | 80,5 | 80,5 | 80,5 | 80,5 | 40,3 | - |
| საშინაო | 80,5 | 80,5 | 80,5 | 80,5 | 40,3 | - |
| სესხები | 80,5 | 80,5 | 80,5 | 80,5 | 40,3 | - |
| სხვა კრედიტორული დავალიანებები | - | - | - | | | |
| **VIII. ბალანსი** | **-** | **0,0** | **0,0** | **-** | **- 0,0** | **-** |

## 2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება

### 2022 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) და ნაშთი ცვლილების გეგმა განისაზღვრა 25 740,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 770,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 84,6%-ი.

ბიუჯეტის **შემოსულობების** (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 21 697,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23 254,3 ათასი ლარი, საანგარიშო პერიოდში 1 557,1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რამაც გეგმის 107,2% შეადგინა. მათ შორის:

ბიუჯეტის **შემოსავლების** (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით მობილიზებულია 23 116,6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (21 587,2 ათასი ლარი) 107,1% და მთლიანი - შემოსულობების 92,8% შეადგინა. მათ შორის:

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 10 691,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 10 160,0 ათასი ლარის 105,2%. წინა წელთან შედარებით (ფაქტი – 9097,0 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1594,7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. აღნიშნული გამოწვეულია გადასახადის გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათების გაერთიანებით, რამაც გადამხდელებს საშუალება მისცა გადასახადის ერთ სახეობაში არსებული ზედმეტობით დაფაროს სხვა საგადასახადო ვალდებულება ან გამოიყენოს იგივე გადასახადში. აკუმულირებული თანხის

უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის. ქონების გადასახადიდან მიღებულია 9417,3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 8 658,9 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე - 377,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 14,5 ათასი ლარი, მიწის გადასახადი - 366,6 ათასი ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 1 274,4 ათასი ლარი,

**გრანტების** სახით მიღებულია 10 126,5 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 3000,0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 240,0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 6 848,4 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით - 38,1 ათასი ლარი.

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 2 298,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1 266,8 ათასი ლარის 181,4%-ია.

ათასი ლარი

| დასახელება | 2022 წელი | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % |
| **შემოსავლები** | **21 587,2** | **23 116,6** | **1529,4** | **107,1** |
| გადასახადები | 10 160,0 | 10 691,7 | 531,7 | 105,2 |
| გრანტები | 10 160,4 | 10 126,5 | -33,9 | 99,7 |
| სხვა შემოსავლები | 1 266,8 | 2 298,4 | 1031,6 | 181,4 |

**არაფინანსური აქტივების კლებიდან** 2022 წელს მობილიზებული იქნა 137,7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (110,0 ათასი ლარის) 125,2%-ია. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 62,9 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან - 74,8 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული თანხების წილი შემოსულობებში 0,6% შეადგენს.

**ფინანსური აქტივების კლების** სახით ასახულ იქნა 0,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 043,2 ათასი ლარის)

**ვალდებულებების კლება** შეადგენს 80,5 ათასი ლარი (მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხი).

2022 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 4 056,9 ათასი ლარი, ხოლო 2021 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 33,5 ათასი ლარი.

2022 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების მაღალი - 84,6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 21 770,9 ათას ლარს შეადგენს, ბოლო წლების განმავლობაში საშუალო მაჩვენებელია მაგ: 2019 წელს - 86,6%, 2020 წელს - 89,1%, 2021 წელს - 84%.

| ახალქალაქის მუნიციპალიტეტისა დასაქართველოს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების განხილვა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2021 წელი ფაქტი | | 2022 წელი ფაქტი | | 2023 წელი გეგმა | |
| დასახელება | ათას ლარებში | ერთ სულ მოსახ ლეზე | ათას ლარებში | ერთ სულ მოსახლ ეზე | ათას ლარებში | ერთ სულ მოსახლე ზე |
| შრომის ანაზღაურება | 1372.2 | 34,3 | 2142,3 | 53,5 | 2679,9 | 67,0 |
| სხვა მიმდინარე ხარჯები | 7140,2 | 178,5 | 9435,6 | 235,9 | 13016,8 | 325,4 |
| კაპიტალური ხარჯები | 8262.5 | 206,5 | 10193,0 | 254,8 | 15689,9 | 392,2 |
| **გადასახდელებ ი სულ ახალქაალქი** | **16774.9** | **419,4** | **21770,9** | **544,3** | **31386,6** | **784,6** |
| **გადასახდელებ ი სულ საქართველო** | **10,292,234.1** | **2,771.3** | **11,720,475.0** | **3,155.9** | **12,459,500.0** | **3,354.9** |
| შემოსავლები საკუთარი წყაროდან | 10959,4 | 274,0 | 16367,8 | 409,1 | 19127,2 | 478,2 |
| გრანტები (ტრანსფერები ) | 6815,5 | 170,3 | 6886,5 | 172,1 | 6614,5 | 165,3 |
| **სულ ახლქალაქის შემოსავლები** | **17774,9** | **440,4** | **23254,3** | **581,3** | **25741,7** | **643,5** |
| **სულ საქართველო** | **8,580,032.1** | **2,310.3** | **9,696,160.0** | **2,610.8** | **10,314,248.0** | **2,777.3** |

ანალიზი ცხადყოფს, რომ როორც შემოსავლები, ასევე გადასახდელები 2021 წლიდან იზრდება ერთ სულ მოსახლეზე და 2022 წლის პროგნოზით შეადგენს შესაბამისად 784,6 ლარს და 634,5 ლარს.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 4 325,4 ათასი ლარი;
- ✓ თავდაცვა – 143,9 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა – 5 756,2 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა – 890,0 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 4 431,0 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა –271,7 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია – 1 660,1 ათასი ლარი;
- ✓ განათლება – 2 832,0 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა –1380,1 ათასი ლარი.

**ახალქალქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში** (ათას ლარებში)

| დასახელება | 2022 წელი | |
|---|---|---|
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 4 325,4 | 19,9 |
| თავდაცვა | 143,9 | 0.7 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | | |
| ეკონომიკური საქმიანობა | 5 756,2 | 26,5 |
| გარემოს დაცვა | 890,0 | 4,1 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 4 431,0 | 20,4 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 271,1 | 1,3 |
| დასვენება და კულტურა | 1 660,1 | 7,7 |
| განათლება | 2 832,0 | 13,1 |
| სოციალური დაცვა | 1 380,1 | 6,4 |
| **სულ ხარჯები** | **21690,4** | 100.0 |

2022 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 21770,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 740,4 ათასი ლარი) 84,6 %-ია. მათ შორის:

- ✓ მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 4 549,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5 213,6 ათასი ლარი) 87,3 პროცენტია.
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 10187,2 ათასი ლარით, რაც გეგმის (12 652,1 ლარის) 80,5 პროცენტია.

- ✓ დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 890,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,0 პროცენტია
- ✓ საგანმანათლებლო ღონისძიებები 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 2832,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 2 832,0 ათასი ლარი, 83,4 პროცენტია
- ✓ სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 1660,1 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1 825,0 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 91,0 პროცენტი
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 97,3 %-ით (გეგმა 1698,1 ათასი, ფაქტი 1 651,8 ათასი ლარი)

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დაიგო 13 კმ ასფალტის ასევე ქალაქისა და სოფლების გზების მოვლა შენახვა. ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები: ს. კუმურდოში სკოლამდე მისასვლელი გზის საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ლომატურცხი– ბურნაშეთამდე გზსის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ბურნაშეთის სკოლამდე, ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის ს/გზიდან სოფ.ხანდო-სოფ.ვარევანის საჯარო სკოლამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ახალქალაქი-კარწახის შიდა სახლემწიფოებრივი გზიდან სოფ. დადეშამდე სასოფლო გზის რეაბიულიაცია, ახალქალაქი-კარწახი (თურქეთის საზღვარი) ს/გზიდან სოფ.ოკამი-სოფ.ქარცეპის გზის კმ 12+220 - კმ 13+420 მონაკვეთის რეაბილიტაცია, სულდა- მიასნიკიანი, ერინჯა, დავნია, ხავეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ქ. ახალქალაქში მასივ ჟივანის ჩიხისა და მარქარიანის ჩიხის რეაბილიტაცია, სოფ.აბული - კარტიკამის სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარი), სოფ.ქარცეფი-აფნიას გზის რეაბილიტაცია (ვარძიის ხევამდე), დაზიანებული ასფალტ ბეტონის საფარის ორმოული შეკეთება, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლის გზების მოხრეშვა, სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ქალაქისა და 4 სოფლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია: სოფ.კარწახის წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტში წყლის სისტემების რეაბილიტაცია (ს. ოლავერდი, პატარა სამსარი), ქ. ახალქალაქში და ყოფილი 1-ლი ს/ქალაქში მრავალ ბინიანი კორპუსების საკანალიზაციო სისტემების, ასევე ქ. ახალქალაქში საკანალიზაციო ჭიების თავშესაფარის რეაბილიტაცია. სოფ. სულდისა და დადეშის სასმელი წლის სატუმბი სადგურის, შემკრები რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოსაწყობა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბავრის ტერიტორიის მდებარე ტბის მოწყობა

ააიპ „ ახალქალაქის სერვისცენტრის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიბები: მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, ამორტიზებული და დაზიანებული ტუმბოების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქში აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი. გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება, ქ. ახალქალაქში ჯავახიშვილი ქუჩის გარე განათების მოწყობა

მუნიციპალური ააიპ „სერვისცენტრის" ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ახალქალაქში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა, ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება, დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ ახალქალაქში განხორციელდება პარკების და მინი სპორტული მოედანების რეაბილიტაცია, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობების რეაბილიტაცია და სხვა მუშაოები.

პროექტებია: შუქნიშნების ტექნიკური მომსახურებისათვის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში არსებული ზოგადი ხედვისა და სატრასპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურეობისათვის, მუნიციპალურ ბალანსზე რიცხულ შენობებში გაზისა და ელექტროენერგიის მრიცხველების დაყენება, ახალქალაქის მუნიციპალიტეტში ზოგადი ხედვის კამერების დაყენება, სოფ. ბარალეთის კულტურის სახლის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი, სოფ. ტურცხის ახალგაზრდების სახლის რეაბილიტაცია, ქ. ახალქალაქში პირუტყვის ბაზარის რეაბილიტაციის მე-2 ეტაპი, ქ. ახალქალაქის „ჯივანის სახელობის" სკვერის რეაბილიტაცია, ქ. ახალქალქი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მდებარე ტერიტორიის კეთილმოწღობა (შსს-ს მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირებისთვის), ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხეების მოჭრა-გასხვლა, ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე საცხოვრებელი მასივი, 1-ლი ს/ქ-ის და დ.აღმაშენებლის ქ. N35, 37, 39 (ყოფილ ქარხნის) ტერიტორიაზე სპორტული ტრენაჟორების მოწყობა, ქ. ახალქალაქი, დ. აღმაშენებლის, მალხასიანის N2-ში, N მე-3 საბავშვო ბაღის მიმდებარედ ჭავჭავაძის ქუჩასა და 1-ლი ს/ქ/ის ტერიტორიაზე მინი სტადიონის რეაბილიტაცია, შ.პ.ს. „ახალქალაქის სოფტექნიკის " შენობის რეაბილიტაცისთვის, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის შენობის რეაბილიტაცია, ქ.ახალქალაქის ცენტრალურ პარკში, ახალი საბავშვო ატრაქციონის მოწყობა და არსებული ატრაქციონის შეკეთება, ქ.ახალქალაქში, დარბინიანის ქუჩისა და თავისუფლების ქუჩის კვეთაზე არსებული ღობის კეთილმოწყობისთვის, სოფ. მურჯახეთის მისასვლელი საავტომობილო გზაზე მდებარე სახიდე გადასასვლელის მოწყობა, სოფ.ჩუნჩხის რიტუალების სახლის რეაბილიტაცია, ქ. ახალქალაქში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ჯივანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია, სოფ.კიროვაკანში ფანჩატურის რეაბილიტაცია, ქ.ახალქალაქში წმ.ნინოს ქუჩაზე კიბის რეაბილიტაცია.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

ა(ა)იპ ახალქალაქის სერვისცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 6 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: კულიკამი, ხულგუმო, ბავრა, კორხი, თოთხამი, მაჯადია, მურჯახეთი,კუმურდო,ხოსპიო,გომანი,ჩამდურა, და ახალქალაქიდან კარწახამდე ფედერალური გზაზე არსებული 37 ცალი ნაგვის ურნა ქ. ახალქალაქიდან ბაქურიანის ფედერალური გზაზე არსებული 23 ნაგვის ურნა , ქ. ახალქალაქი-ახალციხის ფედერალური გზაზე არსებული 4 ცალი ნაგვის ურნა გატანა ნაგავსაყრელებზე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 90,5 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი.

**განათლება**

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სრული საბავშვო ბაღი და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1167-ზე მეტიბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 235 ადამიანი.

ხორციელდება არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა: სოფ. კუმურდოს საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა, #3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და საქვაბის მოსაწყობა და საბავსვო ბაღების მოსწავლების ტრანსპორტორების უზრუნველოფა

**საჯარო სკოლების დაფინანსება**

განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით.

ხორციელდება სპორტული სფეროს ა(ა)იპ ების დაფინანსება; სპორტული სკოლის ხელშეწყობა - 233,8 ათასი ლარი, საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 50,5 ათასი ლარი, სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა - 272,2 ათასი ლარი, საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 166,3 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას. saახალწლო ღონისძიებების ჩატარება და განათება.

ხორციელდება კულტურის და ახალგაზრდულის სფეროს ა(ა)იპ ების დაფინანსება; საბიბლოითეკო გაერთიანების ხელშეწყობა - 107,0 ათასი ლარი, საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა - 189,1 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა - 162,8 ათასი ლარი, სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა - 66,5 ათასი ლარი, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსება - 50,0 ათასი ლარი, აშუგის სკოლის ხელშეწყობა - 27,7 ათასი ლარი, მომავლის სახლის ხელშეწყობა - 65,1 ათასი ლარი.

ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა, როგორც მედია ისე საგაზეთო მომსახურებები. რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს გაეცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 245,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ს ულ 3829 ბენეფციარ

1. სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი - 1174 ბენეფიციარი, მათ შორის სსსს „ევექსის ჰოსპიტლები“ 573 ბენეფიც
2. ახალდაბადებულების დახმარება 467 ბენეფიციარი
3. ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის - 1832 ბენეფიციარი
4. ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად - 188 ბენეფიციარი, მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 167 ბენეფიციარი
5. მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათის ფასიანი სწავლების დაფინანსება - 69 ბენეფიციარი
6. ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად - 99 ბენეფიციარი

**2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის მაჩვენებლები**

მუნიციპალიტეტის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 25744,5 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2023 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 20 820,1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (25744,5 ათასი ლარი) 80,9%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 13 019,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (13 900,0 ათასი ლარი) 93,7 %-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5 141,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (9 699,5ათასი ლარი) 53%-ია, აქედან: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 442,8 ათასი ლარი,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სპეციალური ტრანსფერის სახით - 4 698,2 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2 478,0ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (2 035,0 ათასი ლარი) 121,8 %-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 574,4 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 260,8 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 979,7 ათასი ლარი, სანქციები (ჯარიმები და საურავები) –455,7ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 207,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები რეალიზაციიდან მობილიზებულია 181,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (110,0 ათასი ლარი) 165,1-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 64,9ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 1116,7 ათასი ლარი.

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 5 539,0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვეში ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენებამ შეადგინა 9000,0 ათასი ლარი.

| ახალქალქის ბიუჯეტის 2021–2023 წლის შემოსულობების შესახებ (ათას ლარებში) | | | |
|---|---|---|---|
| | **2021 წლის 9 თვე** | **2022 წლის 9 თვე** | **2023 წლის 9 თვე** |
| **გადასახადები** | **8 457,0** | **9597,1** | **13019,5** |
| ქონების გადასახადი | 7 806,3 | 8674,1 | 9278,1 |
| დამატებითი ღირებულების გადასახადი | 650,7 | 923,0 | 3 741,4 |
| **გრანტები** | **3 859,3** | **3764,5** | **5141,0** |
| **სხვა შემოსავლები** | **957,5** | **1582,5** | **2478,0** |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 478.9 | 663,1 | 835,2 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 250,8 | 547,1 | 979,7 |

| | | | |
|---|---|---|---|
| სანქციები (ჯარიმები და საურავები) | 187,1 | 354,2 | 455,7 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 18,1 | 18,1 | 207,4 |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა | 22,6 | | |
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **30,6** | **70,1** | **181,6** |
| შემოსულობა მირითადი აქტივების გაყიდვიდან | | - | |
| შემოსულობა არაწარმოებლური აქტივებიs (მიწის) გაყიდვიდან | 30,6 | 70,1 | 181,6 |
| **ფინანსური აქტივების კლება** | | | |
| **სულ შემოსულობების ჯამი** | **13 304,4** | **15014,2** | **20820,1** |

2023 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 15 299,7 ათასი ლარი (წლიური გეგმის 31 263,9 ათასი ლარის 48,9 %-ი). მათ შორის:

- ✓ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3514,5ათასი ლარით;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 6 145,4 ათასი ლარით;
- ✓ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 719,3 ათასი ლარით;
- ✓ განათლება - 2 223,6 ათასი ლარით;
- ✓ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1 364,9 ათასი ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1332,0 ათასი ლარით;

**ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2021-2023 წლების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტორა ფუნქციონალურ ჭრილში** (ათას ლარებში)

| დასახელება | 2021 წელი 9 თვე | | 2022 წელი 9 თვე | | 2023 წელი 9 თვე | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 999,1 | 20,1 | 3 110,6 | 23,5 | 3 350,0 | 22,0 |
| თავდაცვა | 76,2 | 0,2 | 104,0 | 0.8 | 124,3 | 0.8 |
| საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება | | | | | | |
| ეკონომიკური საქმიანობა | 2 803,7 | 28,2 | 3 182,5 | 24,1 | 3 442,5 | 22,6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გარემოს დაცვა | 573,1 | 5,8 | 652,5 | 4,9 | 719,3 | 4,7 |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1 228,8 | 12,4 | 1 815,9 | 13,7 | 2 702,9 | 17,7 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 165,9 | 1,7 | 252,9 | 1,9 | 220,1 | 1,4 |
| დასვენება და კულტურა | 872,4 | 8,8 | 1 168,1 | 8,8 | 1 364,9 | 8,9 |
| განათლება | 1 629,6 | 16,4 | 1 881,2 | 14,2 | 2 223,6 | 14,1 |
| სოციალური დაცვა | 600,8 | 6,0 | 1 046,9 | 7,9 | 1 111,9 | 7,3 |
| **სულ ხარჯები** | 9 949,6 | 100.0 | 13 214,6 | 100.0 | 15 259,5 | 100.0 |

**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**

**საანგარიშო წელს მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 2 357,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6 005,4 ათასი ლარი) 39,3 პროცენტია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 615,7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 1601,5 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 84,0 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით დაფინანსდა 84,0 ათასი ლარი)

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-200,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 2,4 ათასი ლარი. მათ შორის: სოფელი ხულგუმო - ახალქალაქის დამაკავშირებელი ხიდის გატეხილი საკიდარის აღდგენისათვის 0,5 ათასი ლარი, სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურება 1,9 ათასი ლარი.

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 56,6 ათასი ლარი,

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3 091,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (13 879,6 ლარის) 22,3 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით.

**დასუფთავება და გარემოს დაცვა**

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 482,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 44,0 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 454,8 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების, მწვწნე ნარგავების მოვლა პატრონობა და განვითარება დაფინანსდა 27,6 ათასი ლარით,

**განათლება**

საგანმანათლებლო ღონისძიებები 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 1 655,3 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის 3 297,6 ათასი ლარი, 50,2 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1 216,7 ათასი ლარი, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციას მოხმარდა 319,9 ათასი ლარი. ხოლო საჯარო სკოლების დაფინანსებას (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) მოხმარდა 118,7 ათასი ლარი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სრული საბავშვო ბაღი და 2 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1167-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო ბაღებში ჯამში დასაქმებულია 235 ადამიანი. დაფინანსდა აღსაზრდელთა დღეში სამჯერადი კვება. თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯმა დღეში საშუალოდ 2,70 ლარი.

**საჯარო სკოლების დაფინანსება**

განხორციელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოცემული მიზნობრივი ტრანსფერით.

**კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი**

სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 939,8 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2 095,2 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 44,9 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 553,5 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 386,3 ათასი ლარი მათ შორის ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობას - 26,2 ათასი ლარი.

ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, დიპლომებითა და მედლებით.

ხორციელდება სპორტული სფეროს ა(ა)იპ ების დაფინანსება; სპორტული სკოლის ხელშეწყობა - 169,9 ათასი ლარი, საჭადრაკო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 34,6 ათასი ლარი, სპორტული კომპლექსის ხელშეწყობა - 162,9 ათასი ლარი, საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 82,6 ათასი ლარი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას.

ხორციელდება კულტურის და ახალგაზრდულის სფეროს ა(ა)იპ ების დაფინანსება. საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა - 56,1 ათასი ლარი, საკლუბო გაერთიანების ხელშეწყობა - 83,8 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა - 94,2 ათასი ლარი, სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა - 36,5 ათასი ლარი, ახალქალაქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის

დაფინანსება - 27,6 ათასი ლარი, აშუგის სკოლის ხელშეწყობა - 14,6 ათასი ლარი, მომავლის სახლის ხელშეწყობა - 36,1 ათასი ლარი.

ფინანსდება საინფორმაციო პროგრამა, როგორც მედია ისე საგაზეთო მომსახურებები. რათა მოსახლეობას საშუალება ჰქონდეს გაეცნოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენებს.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)**

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 53,3 %-ით (გეგმა 1799,0 ათასი, ფაქტი 959,3 ათასი ლარი). მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 146,7 ათასი ლარი, ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია 0,0 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას 812,6 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 146,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ს ულ - 2 176 ბენეფციარ

1. სასწრაფო შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის ხარჯი 394 ბენეფიციარი მათ შორის სსსს „ევექსის ჰოსპიტლები“ 147 ბენეფიციარი
2. ახალდაბადებულების დახმარება - 218 ბენეფიციარი
3. ერთჯერადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის - 1433 ბენეფიციარი
4. ფინანსური დახმარება ოჯახების საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად - 7 ბენეფიციარი მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 2 ბენეფიციარი
5. მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვებისათის ფასიანი სწავლების დაფინანსება - 20 ბენეფიციარი
6. ფინანსური დახმარება მედიკამენტების შესაძენად - 104 ბენეფიციარი

## თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

### თვითმმართველი ერთეული ახალქალაქის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2021 წელს მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2024-2027 წლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებები ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

### მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა

სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024 – 2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- **წარმომადგენლობითი და ღმასრულებელი ხელისუფლება**
- **ინფრასტრუქტურის განვითარება**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა;**
- **განათლება;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;**

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 4 549,8 | 5 917,0 | 5728,2 | 5 981,7 | 6 304,2 | 6 662,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 10 187,2 | 17 024,1 | 4466,3 | 5 476,0 | 5 673,0 | 7 800,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 890,0 | 1 096,7 | 1006,8 | 1 198,0 | 1 250,0 | 1 310,0 |
| 04 00 | განათლება | 2 832,0 | 3 369,0 | 3481,0 | 3 650,0 | 3 850,0 | 4 150,0 |
| 05 00 | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი | 1 660,1 | 2 097,1 | 2106,4 | 2 248,0 | 2 381,0 | 2 501,0 |
| 06 00 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 1 651,8 | 1 882,7 | 1895,7 | 2 022,0 | 2 165,0 | 2 275,0 |

**ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **02 00** | **ინფრასტრუქტურის განვითარება** | **10 187,2** | **17 024,1** | **4,466.3** | **5 476,0** | **5 673,0** | **7 800,0** |
| **02 01** | **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** | **5 756,2** | **8 226,8** | **1,232.8** | **2 200,0** | **2 800,0** | **4 450,0** |
| 02 01 01 | გზების რეაბილიტაცია | 5 111,0 | 7 357,7 | 1,132.8 | 2 000,0 | 2 500,0 | 4 000,0 |
| 02 01 02 | გზების მოვლა შენახვის ხარჯები | 645,2 | 869,1 | 100.0 | 200,0 | 300,0 | 450,0 |
| **02 02** | **წყლის სისტემების განვითარება** | **693,0** | **2 196,2** | **333.4** | **355,0** | **958,0** | **1 060,0** |
| 02 02 01 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 670,6 | 2 149,9 | 280.0 | 300,0 | 900,0 | 1 000,0 |
| 02 02 02 | წყლის სისტემის ექსპლოატაცია | 22,4 | 46,3 | 53.4 | 55,0 | 58,0 | 60,0 |
| **02 03** | **გარე განათება** | **335,4** | **654,6** | **416.9** | **490,0** | **525,0** | **660,0** |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია | 246,2 | 547,3 | 300.0 | 320,0 | 350,0 | 480,0 |

| პროგრამული. კოდი | დასახელება | 2022 ფაქტი | 2023 წლის გეგმა | 2024 წლის პროექტი | 2025 პროგნოზი | 2026 პროგნოზი | 2027 პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 03 02 | გარე განათების ქსელის ექსპლოტაცია | 89,2 | 107,3 | 116.9 | 170,0 | 175,0 | 180,0 |
| **02 06** | **კეთილმოწყობის ღონისძიებები** | **2 327,0** | **3 997,1** | **1,933.2** | **1 831,0** | **760,0** | **980,0** |
| 02 06 01 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოტაცია | 2 327,0 | 3 997,1 | 1,933.2 | 1 831,0 | 760,0 | 980,0 |
| **02 08** | **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა** | **224,1** | **856,5** | **550.0** | **600,0** | **630,0** | **650,0** |
| **02 09** | **სოფლის მხარდჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებელი ღონისძიებები** | **851,5** | **1092,9** | **0** | **0** | **0** | **0** |

| პროგრამის დასახელება | კოდი | გზების რეაბილიტაცია | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსება 2025 წლის ათას ლარში | დაფინანსება 2026 წლის ათას ლარში | დაფინანსება 2027 წლის ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **02 01 01** | | **1132,8** | **2 000,0** | **2 500,0** | **4 000,0** |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სასოფლო გზების რემონტსაც.<br>• ქ. ახალქალაქი, N14 ს/ქ ქუჩების მოასფალტება<br>• ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩამძვრალის სასოფლო გზის რეაბილიტაცია | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ქუჩების მდგომარეობა გაუმჯობესდება, მოსახლეობა ისარგებლებს სუფთა და მოხერხებული გზებით, იმოძრავებს კომფორტულად. | | | | | |

| მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | ასფალტირებული ქუჩების საერთო ფართობი | 87 კმ | 93 კმ | 7% | გზების მოასფალტება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | გზების მოვლა შენახვის ხარჯები | 2024 წლის დაფინანსება ათას ლარში | დაფინანსებ ა 2025 წლის ათას ლარში | დაფინანსებ ა 2026 წლის ათას ლარში | დაფინანსება 2027 წლის ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 02 01 02 | | **100,0** | **200,0** | **300,0** | **450,0** |
| პროგრამის განმახორციე ლებელი | ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა გულისხმობს როგორც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-შენახვას, აგრეთვე, სასოფლო გზების რემონტსაც.<br>• სასოფლო გზების თოვლისგან გაწმენდა | | | | | |
| მოსალოდნელ ი შედეგი | ზამთრის პერიოდში მოსახლეობას ექნება ქალაქის ადმინისტარციულ ცენტრამდე შეუფერხებელი მოძრაობა | | | | | |

| მოსალოდნელ ი შედეგის შეფასების ინდიკატორი | # | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | სრულად გაწმენდილი ქუჩების რაოდენობა | 144კმ (2023 წ) | 144 კმ | 0% | გზების თოვლისაგან გაწმენდა დამოკიდებულია ამინდის პირობებზე და შეიძლება ერთი და იგივე გზა გაიწმინდოს რამდენჯერმე |

| პროგრამის დასახელება | კოდი | **წყლის სისტემის რეაბილიტაცია** | 2024 წლის დაფინანსე ბა | დაფინანს ება 2025 წლის | დაფინანსე ბა 2026 | დაფინანსება 2027 წლის ათას ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|

<table>
<tr><td rowspan="2"></td><td></td><td rowspan="2"></td><td>ათას ლარში</td><td>ათას ლარში</td><td>წლის ათას ლარში</td><td></td></tr>
<tr><td>02 02 01</td><td>280,0</td><td>300,0</td><td>900,0</td><td>1 000,0</td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი</td><td colspan="6">ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური</td></tr>
